

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო
დადგენილება №98
(01.05.2009 წ.)

სტუ-ს მეცნიერების განვითარებისათვის გამოყოფილი თანხების განკარგვის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეიქმნას მეცნიერების განვითარების ხელშემწყობი მუდმივი კომისია;
2. კომისია დაკომპლექტდეს აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების, ფაკულტეტების და ადმინისტრაციის წარმომადგენლებით, სულ 13 წევრისაგან.
3. კომისიის თავმჯდომარეობა დაევალოს რექტორის მოადგილეს პროფ. ზ. გასიტაშვილს. კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნოს სამეცნიერო დეპარტამენტის ხელმძღვანელი პროფესორი დ. თავხელიძე.
4. კომისიის კოორდინატორ- მდივნად დაინიშნოს წარმომადგენლობითი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის წევრი პროფესორი გ. გოლეთიანი.
5. კომისიამ თავის მუშაობაში იხელმძღვანელოს სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ შემუშავებული მეცნიერების განვითარების გამოყოფილი თანხების განკარგვის წესით.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
პროფესორი

(ა. ფრანგიშვილი)

აკადემიური საბჭოს მდივანი,
პროფესორი

(გ. სალუქვაძე)